№ 80 **სახალხო გაზეთი** № 80

ხუთშაბათი, 12 აგვისტო, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

**ამ წლის 7 მაისიდან გამოდის**

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

# სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

## სურათებიანი დამატება

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

******ხელის-მომწერთა საყურადღებოდ******

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

**„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.**

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

**დედა, და და ძმები** განსვენებულის

**ილია ლუკას ძე ბახტაძისა** (ილ. ხონელის)

გულითად მადლობას უხდიან იმ დაწესებულებათ და პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და მონაწილეობა მიიღეს 20 ივლისს ქ. ხონში პანაშვიდის გადახდაში განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (1—1)

## დასურათებული ასაწყობი ანბანი კუბიკებზე

**(„ნ ა კ ა დ უ ლ ი ს“ პ რ ე მ ი ა).**

შემუშავებულია ცალკე კომისიის მიერ პედაგოგებისაგან, მოკლე ხანში დამზადდება და დაურიგდება პრემიად „ნაკადულის“ წლიურ ხელის-მომწერთ. რადგანაც ამგვარი ანბანის მოთხოვნილება ქართულ ოჯახებში დიდია, ამიტომ რედაქციას სურვილი აქვს დახმარება გაუწიოს საზოგადოებას და სთხოვს მსურველთ, არა ხელის-მომწერთ, ეხლავე დაიკვეთონ, რადგანაც რედაქცია გასასყიდად დასურათებულ ანბანს კუბიკებზე ვერ დაამზადებს. დაკვეთა შეიძლება 15 ენკენისთვემდე; ეღირება გაუგზავნელად 1 მანეთი.

## წიგნის გამომცემელი ამხანაგობა „ალიონი“

ამით აცნობებს, რომ წიგნებზე ხელის მოწერა ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო გაგრძელდება პირველ სექტემბრამდე. წიგნების გამოცემა უზრუნველყოფილია.

(0—6.—5) **ამხანაგობა „ალიონი“-ს გამგე ვ. გადილია.**

**გამოცემა მიხ. კალანდაძისა ქ. ბათუმში**

მიიღება ხელის მოწერა

## 5 აგვისტოდან 5 ოქტომბრამდე

# დავით კლდიაშვილის

## სრულ თხზულებაზე

(ავტორის სურათით).

თხზულება დაიბეჭდება **კარგ ქაღალდზე** ორ ტომად, თითო ტომი 320 გვერდამდე; დართული ექნება ბ.ბ. **ივ. გომართელის და კიტა აბაშიძის** კრიტიკული წერილი. ხელის მომწერთათვის ორივე ტომი ეღირება **ექვსი აბაზი**

5 ოქტომბრიდან ხელის მოწერა შესწყდება როგორც ბათუმში, ისე ყველგან. წიგნის ბეჭდვას შევუდგებით 15 ოქტომბრიდან და დაურიგდებათ ხელის მომწერთ მომავალი წლის იანვრის დამლევს.

**ცალკე გასაყიდათ წიგნი არ დაიბეჭდება**

აგენტებს ვსთხოვ ფული გზავნონ შემდეგი ადრესით: Батумъ, Директору Бат. О-ва Взаимнаго Кредита, Симону Гургеновичу Мдивани.

უბრალო წერილები უნდა იგზავნებოდეს ამ ადრესით: Батумъ, Бр. Мгеладзе для М. Каландадзе. (15—7)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდა ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. გამყრელიძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ა. მოჩოგი**—ყელ., ყურ. ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—6.—411)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მიხაილის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი გ. ნ. მაგაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ხალ.—7)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყოველ დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელ. ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღლაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**ფირაძლოვი რ. ზ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**სობოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. სადასურით. (200—6.—250)

ქუთაისის სათავად-აზნაურო ქართული

# გიმნაზია

ამით აცხადებს, რომ ხელმეორე გამოცდები დაიწყება აგვისტოს 24-ს, ხოლო მისაღები ეგზამენები მე-6 კლასში აგვისტოს 25-ს და მოსამზადებელი კლასის I-სა და II განყოფილებაში აგვისტოს 27-ს.

**სწავლა დაიწყება ენკენისთვის 1-ს.** (5—6.—1)

ტფ. ქართული გიმნაზიის

# საპედაგოგიო საბჭო

აცხადებს, რომ საერთოდ ეგზამენები დაიწყება მარიამობის თვის ოცსა. ხოლო პირველ განყოფილებაში შესასვლელად გამოცდა მოხდება ოცდა შვიდსა. (6—6.—6)

გორის ქალთა ანასტასიის

# გიმნაზია

ამით აცხადებს, რომ გიმნაზიას მოწაფეთა ხელმეორე (переэкзаменовки) და მისაღები გამოცდები დაიწყება **24 აგვისტოდან** (5—6.—2)

## გორის ქვს კლასიანი საქალო პროგიმნაზია

ამით აცხადებს, რომ დამატებითი **გამოსაცდელი** ეგზამენები გორის პროგიმნაზიაში დაიწყება — **23 აგვისტოს — ხოლო მისაღები 25** აგვისტოს. (5—6.—2)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

**სარაპ**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**ბაგლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოგუსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**მონხე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

**ხუდაბაშევი**— ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.

**ვესელოვზოროვი ნ. ნ.** ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. გარდა კვირა-უქმისა 2—3 საათ.

**ხატისოვი ნ. დ.**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—6 ს.

**მიკირტუმოვი** დილის $10^1/_2$—$11^1/_2$ ს. ყოველ-დღე.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4—6 საათ.

**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ი. მ. ახპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ვასერმანის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. (100—6.—86)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5^1/_2$—$6^1/_2$ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—123)

**ექიმი მ. ს. არჯევანიძე**

**ქუთაისში.**

იღებს ავადმყოფებს: შინაგან, ქალთა სნეულებ. აგრეთვე საბებიო. დილის 9—12 ს. საღამოს 6—7 საათ. გარდა კვირა-უქმე დღეებისა. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოგიელოგისა. (25—ვ.—23)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—184

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იზმაილოვის ქუჩაზე N 2. **გადავიდა** იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი**

**ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი (50—6.—43)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**დაიბეჭდა და იყიდება**

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ქუთაისში

**ბატონ ყმობა საქართველოში**

ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. ფასი 50 კაპ.

## საქართველოს ისტორია

ს. კვარიანისა.

ფასი 25 კაპ. (15—ფ.—4)

**„ვეფხისტყაოსანი“** უკვე შევიძინეთ ვთხოვთ ნუღარ შეგვეწუხებიან, ვისაც ეს წიგნი აქვს და ნუ მოიტანენ. (1—1)

**ქირავდება** ერთი ოთახი ზემო სართულში მზიანი და ნათელი. შეიძლება მოწყობილობით და სადილით. კირპიჩნი და ელისაბედის ქუჩის კუთხე № 69. მარჯვენა ზემოთი ზარი. იქვე მიიღებენ მოწაფეებს სრულ ხარჯზედ.

## დაბა ხონში

**ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ხონის განყოფილების**

## წიგნის მაღაზიაში

იყიდება ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები, ახალი წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და საკანცელარიო ნივთები. მაღაზია საკომისიოდ ღებულობს წიგნებს და კისრულობს გამომცემელთა ამხანაგობას.

მაღაზიას უკვე დაკვეთილი აქვს სასწავლო წლისათვის საჭირო წიგნები და რვეულები და ამ მხრივ ადვილად შეუძლია ხონის რაიონის დაკმაყოფილება

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

11 აგვისტო.

**საზღვარ-გარედ**

**სტამბოლი.** შინაგან საქმეთა მინისტრს თალატბეის დღეს ხუთშაბათს მოელიან მთავრობასთან დაახლოვებულ წრეებიდან. გადმოგვცემენ რომ რაც მინისტრმა იმოგზაურა მაკედონიაში და დაბრუნდა იქიდან, ბოლგარებიდან აღარ მოსულა საჩივარი ოსმალების სისასტიკეზე.

**ურმია** ადლიეს გაცარცვის გამო, აგრეთვე იმიტომ, რომ ხალხი უკმაყოფილო ენჯუმენზე, რომელმაც ბოროტად მოიხმარა ხალხის ნდობა, ენჯუმენი იძულებული გახდა გადამდგარიყო თანამდებობიდან. გუბერნატორი თხოულობს ახალი არჩევნები მოახდინოს. ხალხი არჩევნებს უგულოდ უყურებს.

**ცეტინიე.** მიუშკევიჩმა დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, გადაწყვეტილი არა მაქვს, მივიღებ თუ არა მინისტრ პრეზიდენტის თანამდებობას თუ მთავარი გადასწყვეტს ახალ კაბინეტის შედგენას. უმთავრესი გასაჭირი კაბინეტის შედგენაა, რადგან გამოსადეგი ხალხი არ მოგვეპოვება. მიუშკევიჩი საუმჯობესოდ სთვლის საშუალება მიეცეს ეხლანდელს კაბინეტსა და სკუპშჩინს შემოდგომის სესიამდე. ბლომად მიიყვანოს კონსტიტუციის გადასინჯვის საქმე. ყოველგვარ ცვლილებათა მოხდენა ზამთრისათვის იქნას გადადებული.

**რომი.** დღე-ღამის განმავლობაში სხვა და სხვა ქალაქებში ხოლერით ავად გახდა 26 კაცი, გარდაიცვალა 8.

**ნიუ იორკი.** ტყის ცეცხლის დროს სპოკენში დაიწვა 93 კაცი.

**ლონდონი.** რეიტერის მონაგუადან, ნიკარაგუს სატახტო ქალაქიდან, ატყობინებენ, რომ ყოფილი პრეზიდენტი მადრიზი 7 აგვისტოს რამდენიმე აფიცრით კარინტოში გაიქცა, იქიდან გონდურასში. ესტრადამ დეპეშით აცნობა შეერთებულ შტატების სახელმწიფო სეკრეტარს ნოკსუს, რომ ის სიმპატიურად უყურებს ამერიკელთ და მზადაა აუნაზღაუროს ზარალი, უკანასკნელ ორ პრეზიდენტის მოქმედებით გამოწვეული. ესტრადას ძმამ ხოზე ესტრადამ გამოსცა მანიფესტი და ესტრადა ნიკარაგუას პრეზიდენტად გამოაცხადა.

**მადრიდი.** გამოქვეყნდა კარლისტების ფურცელი, სადაც ნათქვამია რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ იარაღით დაიცვან სარწმუნოება.

**ათინა.** სოფლის ოლქების არჩევნების შედეგებმა დაგვანახვეს, რომ თეოტოკისისა და რალისის პარტია იმარჯვებს, სახალხო კავშირთა კანდიდატები ყველგან კერ გადიან. ატიკიდან 44 დელეგატთაგან 32 სახალხო კავშირთა კანდიდატებია.

**ბერლინი.** მართლდება გაზეთების ცნობა, რომ ბორკუმში დააპატიმრეს ინგლისელი, რომელსაც სახელმწიფო ჯაშუშობას სწამებდნენ დაპატიმრებული ემდენის საპატიმროში ჩასვეს. ამბობენ, რომ ინგლისელი ციხის შენობათა გეგმას ხატავდა. ჯაშუშებისათვის დააპატიმრეს მეორე ინგლისელი დაპატიმრებულის ამხანაგი.

**სტამბოლი.** სალიმ-ფაშამ გადასდო გაურანისაკენ გალაშქრება. რადგან ჯარი ცოტა ჰყავდა, სმირნიდანა და ალანიდან ჯარი გამოიწვია. მდგომარეობა მთავრობისა და დრუზებისა იგივეა.

იუსტიციის სამინისტრომ მოხსენება წარუდგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს, აზრად აქვთ აკრძალონ ბერძენთა პატრიარქის მიერ განზრახული საერო კრების მოწვევა. ზომები იქნება მიღებული, რომ პროვინციაში არ მოხდეს დელეგატების არჩევა ამ კრებისათვის. ამის გამო „ტანინი“ სრულს კმაყოფილებას აცხადებს და ამბობს, რომ პატრიარქს არა აქვს უფლება საერო კრების მოწვევისაო.

ერზრუმიდან იტყობინებიან, რომ სოფელ დიკაში 4 შემთხვევა იყო ხოლერით ავად გახდომისა, მეორე სოფელში იყო 1 შემთხვევა.

**რომი.** აპულიაში ხოლერით ავად გახდა 37 კაცი, გარდაიცვალა 15 კაცი.

**სოფია.** გაზეთი „პრიპორეცი“ ეხება ლტოლვილ მაკედონელ ბეგართა საკითხს და ამბობს: ეს გამარჯვებაა მშვიდობიანობისა და ბედნიერება მათი, ვინც ხელი შეუწყო ამ საკითხის ასე მოგვარებას. ოსმალეთი ეს მესამედ თუ მეოთხედ ამტკიცებს თავის განახლებას, რომელიც მეტად მშვენიერ პირობებში ხდება. საუბედუროდ არიან ისეთი პოლიტიკოსები, რომელთაც ახასიათებს ვიწრო შოვინიზმი. იმათ უნდათ წინაღუდგნენ ხუთ საუკუნის განმავლობაში განმტკიცებულ ტრადიციებს და ოსმალეთის იმპერია, რომელიც 5—6 ერისაგან შესდგება ფორმალურად უმცირესობის გულისათვის ერთ მთლიან სახელმწიფოდ აქციონ. ახალი რეჟიმის მოვალეობაა ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული რეფორმების მოხდენა და განახორციელოს სრული თანასწორობა სხვა და სხვა ერთა შორის. ჩვენ, ოსმალეთის კარის მეზობელნი ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას. გულახდით მიუთითებთ ხოლმე ოსმალეთის მართვა-გამგებლობის ნაკლზე, რომელიც თუ არ იქნა თავიდან აშორებული—საფრთხეში ჩააგდებს ოსმალეთისა და ბოლგარიის მომავალს.

**თეირანი.** მთავრობის ჯარმა დაიჭირა ხარი. რეშიდ-ულ სულთანი გაიქცა.

**რ უ ს ე თ ი**

**ოდესა.** სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებმა, პროფესორებმა და ექიმებმა ქალაქის თვითმმართველობაში თათბირი იქონიეს იმაზე, თუ რა საშუალება უნდა მიიღონ შავი ჭირის (ჟამი) წინააღმდეგ საბრძოლველად.

შავი ჭირის გამო ოლქის მზრუნველის განკარგულებით ტავრიდისა, ხერსონისა და ეკატერინოსლავის გუბერნიების საშუალო სასწავლებე-

ლში სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს, ხოლო დაბალ სკოლებში 1 ოქტომბერს.

**პეტერბურგი**. შლისბურგის ქუჩაზე ცეცხლის დროს დაიწვა 11 წლის ქალი, დაშავდა 11 კაცი, რომელთაგან საავადმყოფოში გაგზავნეს.

გოლდბერგის სახლში, ნალევკის ქუჩაზე კარებ წინ ყუმბარა აფეთქდა. დაიმსხვრა ოთახის მოწყობილება. ამბობენ, რომ მობინადრეებმა შური იძიეს სახლის პატრონზე ქირის მომატების გამო.

**ნოვოჩერკასკი**. ქალთა საქალაქო სასწავლებელთან შემოდგომიდან იხსნება სპეციალური პედაგოგიური განყოფილება დაბალ სასწავლებლის მასწავლებელთა მოსამზადებლად.

**ვორონეჟი**. ნოვოსოპიორის მაზრაში ორი მძარცველი თავს დაეცა ჩაბიკინის მამულს და რამდენჯერმე რევოლვერი გაისროლა, მაგრამ ორივენი მოკლულ იქნენ მემამულის ოჯახის მიერ.

**სტავროპოლი**. 50 მონოზანმა მოისმინა ლექციები ხოლერაზე და გაემართა მაზრებისაკენ ხოლერასთან საბრძოლველად.

**კიევი**. სამხედრო-საოლქო სასამრთლომ გაარჩია საქმე ხუთი კაცისა, რომელთაც ბრალდებოდათ შეძლებულ გლეხის სახლის ცეცხლის წაკიდება და მთელი ოჯახის 9 სულის ამოწყვეტა. ბრალდებულთაგან ორს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ხოლო სამს კატორგაში გაგზავნა.

**პეტერბურგი**. საერთაშორისო ჰაერში მფრინავთა ფედერაციის თაოსნობით სრულიად რუსეთის ჰაეროკლუბმა გადასწყვიტა გამართოს სრულიად რუსეთის ჰაერში ფრენის დღესასწაული. ორი დამოუკიდებელი ჰაერში ფრენა გაიმართება. პირველი კვირა დაიწყება 5 სექტემბრიდან 12 სექტემბრამდე, მეორე 16—23 სექტემბრამდე. პირველ კვირაში გამარჯვებულთ მიეცემათ სულ 16,500 მანეთი, ხოლო მეორე კვირის განმავლობაში 17.500 მანეთი. ფრენა მოხდება კალომიაგის ახლოს.

**ხ ო ლ ე რ ა**

**პეტერბურგი**. დღე ღამეში ხოლერით ავად გახდა 75, გარდაიცვალა 19, მორჩა 35, ავად არის 738 კაცი.

დეპეშათა სააგენტომ შემდეგი ცნობები მიიღო ხოლერის შესახებ: სამარის გუბერნიის ნიკოლაევის მაზრაში ერთი კვირს განმავლობაში ავად გახდა 647, გარდაიცვალა—255 კაცი. მარიუპოლსა და ახლომახლო 31, გარდაიცვალა 15 კაცი. ტულის გუბ. ავად გახდა 20, მოკვდა 9. თერგის ოლქში ავად გახდა 662, გარდაიცვალა 32, კავკაზში ავად გახდა 68, გარდაიცვალა 35 კაცი. ორ დღეში ავად გახდა მოსკოვში —7, გარდაიცვალა 2, ავად არის 27. დღე-ღამეში ნიკოლაევში გარდაიცვალა 2, სოფელში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2; სენის გაჩენიდან ნიკოლაევის მაზრაში ავად გახდა 1362, გარდაიცვალა 670, ტფილისის გუბერნიაში ავად გახდა 217, გარდაიცვალა 93, ავადაა 63. ერთი კვირის განმავლობაში ხოლერა შესუსწყდა და ეხლა კვლავ იჩინა თავი დანილევისა, ლიუბლინისა და პოშეხონის მაზრებში. სევასტოპოლის სასანიტარო—აღმასრულებელმა კომისიამ აკრძალა ხილისა მწვანილეულობის გაყიდვა, კარ-და-კარ დატარებით რადგან ეს ხელს უწყობს ხოლერის გავრცელებას.

# ახალი ამბები

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **ტფ. გუბერნატორის შეკითხვა**. როგორც ვიცით, ქალაქის გამგეობამ ამას წინად გადასდო: 50.000 მან. ტფილისში ხოლერასთან საბრძოლველად და 7,000 მან. დიდუბის წყლისაყვანის გასაფართოებლად. ტფ. გუბერნატორი ქალაქის გამგეობას შეეკითხა, ხსენებულ საქმეებზე დღემდე სულ რამდენი დაჰხარჯეთო.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა.** 10 აგვისტოს თავის მოკვლის განზრახვით კარბოლის სიმჟავე დალია კლავდია პეროვსკაიამ, რომელიც სამკურნალოში გაგზავნეს სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად.

✦ **ძმის მოკვლის განზრახვა.** 10 აგვისტოს მალაკნის ქუჩაზე თავის სახლში ვიღაც უცნობმა ძილის დროს რევოლვერით დასჭრა ოლგა იოსების ასული მგალობლიშვილისა. როგორც გამოირკვა, ის დაუჭრია თავის მაზლს კარლო მგალობლიშვილს. უკანასკნელი შეიპყრეს მას აღმოაჩნდა ქალის მაგივრად ქართულად დაწერილი ბარათი: „ჩემ მოკვლაში ბრალს ნურავის დასდებთ. მე თვითონ ვიკლავ თავსაო“.

✦ **მკვლელობა**. როგორც გვატყობინებენ, გორის მაზრის სოფელ ქვემო ნიქოზში ვიღაც უცნობთ მოუკლავთ ადგილობრივი მცხოვრები ლექსო ელოაშვილი.

✦ **ხოლერიანთა რიცხვი**. სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 10 აგვისტოს დილის 9 საათიდან 11 აგვისტოს დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა-2 კაცი. ხოლერიანთა საავადმყოფოში იყო-27 ავადმყოფი, მოემატა-2, მორჩა და გამოეწერა-1, გარდაიცვალა 2, დარჩა 26.

✦ **პოლიციის შეიარაღება**. ტფ. გუბერნატორი შეეკითხა ტფ. ქალაქის გამგეობას, რომელი თანხიდან უნდა გადასდოთ ქალაქ ტფილისის პოლიციის შესაიარაღებლად საჭირო ფულიო.

✦ **გორელთა შუამდგომლობა** გორის ქალაქის თვითმმართველობა შუამდგომლობს ტფ. გუბერნატორის წინაშე, რომ გორს მიეცეს იმ ქალაქების უპირატესობანი, რომელთაც უფლება აქვთ სასმელი სააქციზო გადასახადი საქალაქო მამულით უზრუნველ-ჰყონ და ეს გადასახადი ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ.

✦ **ვერის ხიდი.** ამას წინად ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა აღარ გადაახდევინოს მეეტლეთ ვერის ხიდზე გასასვლელი ფასი. გუშინ ტფ. ქალაქის გამგეობას გუბერნატორმა მოსთხოვა პირი ამ დადგენილებისა და აგრეთვე იმ მოსაზრებათა აღნუსხვა, რომლითაც ქალაქის გამგეობა ხელმძღვანელობდა ასეთ დადგენილების მიღების დროს.

✦ **შუამდგომლობა**. ახალციხის ქალაქის მოურავმა შუამდგომლობა აღძრა, ახალციხე გაანთავისუფლეთ ჯარის შესანახ ხარჯისაგანო. შუამდგომლობას იმით ასაბუთებს, რომ ახალციხეს იმდენი ხარჯი მოუვიდა ხოლერიანობის გამო, რომ ჯარის შესანახ ხარჯის გადახდა აღარ შეუძლიანო.

✦ **ხოლერა**. პოლიციის ცნობით, 10 აგვისტოს ტფილისში ხოლერით ავად გახდა 4 კაცი. მათი გვარები: 1) მარიამ მიხეილის ასული მ.ნგარაშვილი, 2) ბაგრატ ვოსკანოვი, 3) ნოტან დანიკიდი და 4) მარიამ ექვთიმეს ასული ლომაძე (გარდაიცვალა). ავადმყოფთა ბინებს შესაფერი დეზინფექცია გაუკეთეს.

✦ 10 აგვისტოს პოლიციამ ქალაქის სხვა და სხვა უბანში 23 უპასპორტო შეიპყრო.

✦ 10 ივლისს მაზუთის შესახვევში იპოვეს მიგდებული ბავშვი, მდებრობითი სქესისა. ბავშვი ოდგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

✦ 10 აგვისტოს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო ალექსანდრე სტეფანოვი, რომელიც 1901 წლიდან სამხედრო ბეგარას ემალებოდა.

# პატარა ფელეტონი

## შრომის გოროტი სახენი

როგორც მკითხველებმა იციან, ეხლახან ყაზანში დასრულდა მისიონერთა კრება. ტფილისელი წარმომადგენელი უკვე ჩამოვიდა და მათი გადაწყვეტილებები ჩამოიტანა: მისიონერთა რიცხვი უნდა მომატებულ იქმნას კავკასიაში და სხვ. ამ ჟამად მათ კრებაზედ არ მინდა ლაპარაკი. მხოლოდ მისიონერთა წლევანდელმა კრებამ ორი წლის წინად 1908 წლის ზაფხულში კიევში მომხდარი სრულიად რუსეთის მისიონერთა კრება, სადაც ხშირად ვესწრებოდი ხოლმე, მომაგონა. მშვენიერ სიტყვებს ამბობდნენ იქ:

„დიდება წმინდა შრომას, მის ჩვენი თაყვანის ცემა. „რასაკვირველია, მუშა ხალხის მდგომარეობა გაჭირვებულია და უნდა მდიდრებს ვუქადაგებდეთ შეძლების დაგვარად მშრომელთა მდგომარეობა გააუმჯობესონ. **რასაკვირველია, მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზედ, მათი სიღარიბის მოსპობაზედ ყველა ოცნება ფუჭი და უქმი უტოპიაა**. მშრომელთა ამ სამძიმო მდგომარეობასთან ბრძოლა შეიძლება მხოლოდ მოთმინებითა, ლოცვითა და ქრისტიანული ცხოვრების ღვაწლით.“—ამბობდა ჩვენში კარგად ცნობილი ვოსტორგოვი.

„არავის არ შეუძლიან მომეტებული შვება მისცეს მუშას, თუ არ ეკლესიამ თავისი ნუგეშისცემით.“ ბანს აძლევდა მეორე ცნობილი მისიონერი აივაზოვი.

დიაღ, მშვენიერი სიტყვებია, მაგრამ მოთმინებისა, სიღარიბისა და შრომის დიდებაში მდიდართა და არამშრომელთა მშვიდობიანი ცხოვრების დასაცავად ვოსტორგოვსა, აივაზოვსა და სხვა მისიონერებზედ უფრო ადრე და უფრო მშვენივრად ქადაგებდნენ.

ცნობილია, როგორ ექომაგებოდა ორლოვის ეპისკოპოსი ირინეი შრომასა და სიღარიბეს ესთეტიური თვალსაზრისით.

„ველარ ამშვენებენ წითელი და ცისფერი ყვავილები. თუ იქ მარტო წითელი ყვავილები იქმნება, ეს ულაზათოა და ადამიანს თვალს მოსჭრის. აგრეთვე ცხოვრებაშიც აუცილებელია სიღარიბე და შრომა სიმდიდრესა და ფუფუნებასთან“.

სილამაზის გამო, რომ ცხოვრების სურათი ერთფერი, ბუნდოვანი და მომწყენი არ იყოს.

როგორ შეედრება ახლანდელი ქადაგება მოთმინების შესახებ ამ „მოდერნისტულ“ ჰანგზედ აჟღერებულ ქრისტიანობის ესთეტიკას.

კარგადვე ლაპარაკობდნენ ძველად ეკლესიის ნუგეშ-ცემის სიტკბოებაზედაც.

“ცრუმასწავლებელთ შრომის მოყვარეობის წმინდა წყაროს მოწამლა უნდოდათ; იმათ უნდოდათ მშრომელს წაართვან მოთმინების სიტკბოება,—ერთად ერთი საშუალება, რომელიც თვით „მერის მწარე წყალსაც“ კი ატკბობს“,

დიდება მოთმინებას!

ქება აუტანელ შრომასა...

მაგრამ არ ხდება ხოლმე ხშირად, რომ თვით მოთმინებაც კი ველარ ატკბობს „მერის მწარე წყალსა“?

მე ვიცი ერთი ლექსი; ისიც მოთმინებაზედ ლაპარაკობს.

ამ ლექსს „ცისფერი ფინჯნის სიმღერა“ ჰქვიან.

სამწუხაროდ, არ შემიძლიან თარგმანში იმისთანა მშვენიერი და გულის აღმძვრელი გამოვიყვანო, როგორც ავტორსა აქვს.

„წადი ქვეყნად, ცისფერო ფინჯანო.

წადი, მაგრამ კი არა სთქვა რა იმათზედ, ვინც შენ ცის ფირუზი ლაჟვარდი მოგცა

„არავის უთხრა, რომ, ვინც შენს ნაზს პწკარებს ლაჟვარდი ცის ფერი და სინათლე მიანიჭა, ის ეხლა ველარც ცისფერს და ვერც თეთრს, ვერც მწვანე ბალახს და ვერც ოქროსფერს მზეს ველარა ჰხედავს.

„ბნელი გადეკრა შენსავით ცისფერ თვალებს.

„არავის უთხრა პატარა ნაზს ჩემს დაზედ, რომელმაც შენს ლაჟვარდს თავისი ჯერ გაუფურჩქნავი ახალგაზრდობა და სიცოცხლე, თავის ოქროსფერი თმა და ვერცხლებრივი სიმღერა შესწირა.

„არავის უთხრა ჩემს პატარა ბავშვებზედაც, რომლებიც მხოლოდ იმიტომ დაიბადნენ, რომ მაშინვე დახოცილიყვნენ... და იმათზედაც, რომლებიც დაბადებამდის დაიხოცნენ.

„არაფერი სთქვა, რომ მადა არ დაუკარგო, სულის სიმშვიდე არ შეუშფოთო იმ ბედნიერთ, ვინც თავის ალისფერ ტუჩებს შეახებს წყეულს ცისფერს მინანქარს;

„რომ გული არ დაუდაგოს იმ მწუხარებამ, იმ სასიკვდილო შხამმა, რომელიც უსინათლო თვალების უკანასკნელ ცრემლებთან ერთად შეახმა შენს ლაჟვარდს.

„მოთმინება! არაფერი სთქვა...“

აი მოთმინების შესახებვე ქადაგება —და ესეც იმათი სიმშვიდის დაცვის სახელით, რომლებსაც მისიონერ... ორატორებიც იცავენ.

განა რა უნდა ეთქვა ფინჯანს?...

საქმე იმაშია, რომ ფინჯნის საღ... რავს ურევია ტყვიის უმარილი. ... ფერავს უსვამენ ქალები და ბავშვ... და საფერავის წასმის დროს ის... ძალა-უნებურად ჰყლაპავენ ამ ტყვ... უმარილს.

ტყვიის უმარილი უსაშინელესი შ... მია, რის გამოც ყოველ წლივ მრა... ლი იხოცება. და ამ მსხვერპლებს შ... ეძლოთ „ფინჯნის სიმღერა“ ეთქვა...

„გარრიეტ პოდმორი და ორი სხ... ქალი მუშაობდა ერთად. მუშაო... მეოთხე დღეს ყველას ძილი მოერია... მიწვნენ, მიიძინეს, მაგრამ იმ ორ... ქალმა ველარც გაიღვიძა. პოდმორ... თუმცა მოასულიერეს, მაგრამ მუშ... ობა კი აღარ შეეძლო“.

„გერტრუდა კარელეცს, ახალგა... რდა ქალს, ქუჩაში გული წაუვიდ... ერთი კვირა უგონოდ იყო. რო... გონზედ მოვიდა, ფეხებს ველარა ხმ... რობდა, დადამბლდა. შემდეგ თვალ... დააკლდა და ბოლოს სულაც დაბ... მავდა“.

ეს ამბები აღებულია ფაიფურ... ფინჯნებთან მომუშავეთა ცხოვრებ... დან. ვინც კიდევ თითონ ტყვი... უმარილის მოსამზადებელ ქარხნებ... მუშაობს, უფრო ცუდს მდგომარეო... ბაშია. მათი მწვანე, უფერული სახ... ჩამქრალი თვალები, დანაოჭებულ... ტყავი... უფრო მკვდარს მოაგონებ... კაცსა, ვინემ ცოცხალს. ხელები დ... ფეხები უკანკალებთ. ხელში რომ ს... ჭმელი ვერ დაუჭერიათ, იძულებულნ... არიან სლაპონ საჭმელი ძაღლივით.

მიდი იმათთან და მოთმინებაზე... ელაპარაკე, რომ შრომა გაუტკბილო... რა მწარე დაცინვა იქმნება!

ან მოიგონეთ ცოცხლად მიწაშ... ჩასულნი, მაღაროს უკუნეთ ბნელში... სადაც ცხენებიც კი ბრმავდები... (ზოლა).

ამ გვარ შრომის მოთმინება ვე... გაატკბილებს. აქ საჭიროა მათი და... ფარველი კანონი. მისიონერთა კრე... ბას შეეძლო ამაზედ აღეძრა ლაპარა... კი, შებრძოლებოდა ამ აუტანე... შრომას. იმან კი მარტო მოთმინებ... ურჩია,

წმინდა შრომა!

მე კი ვიტყვი, რომ შრომა წმინდ... არ არის!

ის ხშირად დანაშაულობაა, რო... გორც დანაშაულობაა თავის მოკვლ...

დანაშაულობაა—ცისფერი ფინჯნი... ახლო მუშაობა.

დანაშაულობაა საზოგადოდ შრომა... როცა მას სიკვდილი მოაქვს.

შრომა, რომელიც მონებსა ჰქმნის... უადამიანის სახედ, რომლებიც დასა... სვენებელ წუთებში ეძებენ მხოლოდ... ლოთობაში, არაყში ან გარყვნილება... ში—დანაშაულობაა.

ეს იყო ორი წლის წინად და ე...

# ვინ შერყვნის ქართულ ენას?

**(მოაგარაკეს შთაბეჭდილებანი).**

არავისთვის დაფარული არ არის, რომ, თუ დღევანდელმა პოლიტიკურმა ბურუსმა და ქართველ ერის ძილმა დიდ ხანს გასტანა, ქართულ ენას უსათუოდ დაბეჩავება, დამახინჯება და სიკვდილიც კი მოელის. ამას თავის თავად ვერ მოახერხებენ კარუსების მოტრფიალენი, რომელნიც თავიანთ ნიღაბ ახდილ მოქმედებით, პირიქით, უფრო აფხიზლებენ ხალხს და გამკვლავებულ ომში იწვევენ მას. მოიგონეთ ამ საუკუნის დასაწყისის კავკასიელი „მოღვაწეები“. ვერ მოახერხებს ამას ვერც დღევანდელი ჩვენებური პოლიტიკური სკოლა, რომელიც დიდი ხანია საიდუმლოდ გულში ალოლიავებს ამ წადილს და ნელის, შეუმჩნეველის ნაბიჯით მიეშურება თავის მიზნისკენ, მაგრამ ვერც ერთ წრეში ნდობა და პატივი ვერ დაიმსახურა.

საჭიროა, რომ ციხე შიგნიდან აგტყდეს და პირველად შინაურმა სტყორცნოს ჩასაქოლავად ქვა ქართულ ენას. მაგრამ ვინ შეასრულებს ამ სამარცხვინო როლს? პირველი ვინ ამოჰგლეჯს მშობელ ერს ტკბილს ენას?

ის, ვისაც ძველ ივერიის ეროვნულ ოჯახში მაღლა ეპყრა ეროვნების ბაირაღტარი.

ის, ვინც დამონებულ სამშობლოს განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს ასე სტიროდა:

„მე ვწუხვარ მასზედ, რომ ჩემს მამულს ამ ნეტარს დღესა
მხოლოდღა ერთი შეაკვდება
ჩემგან შობილი“.

ეს ერთი მისგან შობილი მისი ერთად-ერთი შვილი იყო.

ის, ვინც ძველად ამაყობდა იმით, რომ საყვარელ შვილების სიცოცხლე სამშობლოს დამოუკიდებლობას შესწირა და გაუზრდია

„ქართველ ქალსა ქართვლის შვილი“.

დიახ, ეს მომავალი მოღალატე, სამარცხვინო ბოძზედ გასაკრავი დამნაშავე — დღევანდელი ქართველი ქალია. ქართველი-ქალი, რომელსაც აბარია ქართველ ოჯახის მომავალი. ქართველი ქალი, რომელიც დღეს ლიზინკა—პეტრუშკებს უზრდის წარსულში ეროვნულ შემეცნებით დიდებულ სამშობლოს. ის პირველი გარყვნის და გაჰყიდის სამშობლო ენას. ის პირველი იმღერებს „იავნანას“ მაგივრად „ბაიუშკი—ბაიუს“. პირველად ის დაივიწყებს ქართულ ენას და დაავიწყებს მას ოჯახს, მოზარდ თაობას.

ასეთია ის სამწუხარო დასკვნა, რომელიც ამ ზაფხულის დაკვირებიდან გამოვიყვანე.

როცა ადამიანი დიდს ქალაქში უკვირდება გარეშემო ცხოვრებას, ბევრი რამ საყურადღებო ეპარება თვალსახედიდან. აქ აბობოქრებულ ცხოვრების მორევში მრავალი მოვლენანი გარეშე თვალისათვის ძლიერ სუსტ კვალსა სტოვებენ. მოქმედნი პირნი მრავალ სხვათა შორის ან სრულიად შეუმჩნეველნი რჩებიან მეთვალყურესათვის ან არა და ისე მსწრაფლად იცვლებიან, რომ მათ მოქმედებიდან ვერავითარ დასკვნის გამოყვანას ვერ ასწრობ.

სულ სხვა სანახაობას თუ მასალას წარმოადგენენ ესევე პირნი სოფლად, სადაც ისინიც უფრო თავისუფლად ჰგრძნობენ თავსა და, მაშასადამე, უფრო გულწრფელნი და პირდაპირნი არიან და მეთვალყურესაც გაცილებით მეტი საშუალება აქვს უფრო გულდასმით, პირდაპირ და პირუთნელად შეისწავლოს თავის დაკვირვების საგანი.

ამ ზაფხულს შემთხვევით ისეთ სოფლებში მომიხდა ყოფნა, სადაც ტფილისიდან დიდ ძალი საზოგადოება იყო ჩამოსული სააგარაკოდ. მოსულებ შორის ნაცნობებიც იყვნენ. აგარაკად კი, როგორც მიღებულია, საკმარისია ერთი ვინმე გაიცნო—და სულ მოკლე დროში ყველას იცნობ, ყველასთან დაახლოვებული ხარ, არავის ერიდები და არავინ გიმალავს თავისი ნამდვილი ფიზიონომიას. მოდათ შემოსულ პიკნიკებს და ექსკურსიებს ხომ ვერსად გაექცევი.

და აი ერთ-ერთ ამნაირ გასეირნების დროს ჩემს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა დავრწმუნდი, რომ დამსწრე ქართველ მანდილოსნების უმეტესობამ არ იცოდა არც ამერული მურყანი, არც იმერული თხმელა და ყველამ კი იცოდა რუსული „ოლხა“. მაგრამ შემდეგმა დაკვირებამ უარესი სინამდვილეც აღმომაჩენინა. თურმე ამ დროის ქართველი ეგრედ წოდებული „ნასწავლი ქალი“ ქართულად არ და ვერ ლაპარაკობს. არ ლაპარაკიბს, რადგანაც რცხვენია „ტეტიას ენაზე“ ლაპარაკისა, და ვერ ლაპარაკობს, რადგანაც ვერ ახერხებს თავის აზრების დედის ენაზე გამოთქმას. რომ თანამედროვე სკოლაში სწავლა-მიღებული ქართველი ვაჟების უმეტესობა მშობელ ერისთვის და ერთობ საქართველოსთვის დაკარგულია, ეს მე კარგა ხანია ვიცოდი. ორიოდე წლის წინათ ბორჯომის ხეობის ერთ-ერთ სადგურზე მატარებლის მოლოდინში სკამზედ ჩამომსხდარიყვნენ დედა და შვილი—ჩიჩტიანი ქართველი მანდილოსანი და თეთრი პიკის ტანისამოსში გამოწკიპული სტუდენტი. უთანხმოება მოსდიოდათ იმაზე, მესამე კლასის ბილეთი აიღონ თუ მეორესი. სჩანდა, რომ შვილი რბილ ბალიშს ნაადრევად შესჩვეოდა. დედა დარბაისლურ ქართულით არიგებდა. შვილი კი ლუდხანას რუსულ ენაზედ აძლევდა პასუხს და ძლიერ ცხარობდა, რომ მოხუცებულ ადამიანს გადასაგდები ფულები არ მოეპოვებოდა.

— ეს დღევანდელ საქართველოს სიმბოლოა,—ვიფიქრე მაშინ:—შეიძლება დადგეს დრო როცა ქართველი დედა და მისი შვილი ერთმანეთის ლაპარაკს სულაც ვერ გაიგებენ. თუ ვაჟი ნება-უნებლივ შეიყვარებს იმ ენას რომელზედაც დღეში ხუთ გაკვეთილსა სთქვეფავს, სამაგიეროდ ქალი ოჯახის კერასთან ხელუხლებლად შეინარჩუნებს სამშობლო ენას. გაივლის დრო და „უძღები შვილი“ დარცხვენილი დაუბრუნდება მშობლიურ ოჯახს, სადაც ქართველურად აღზრდილის დედის, ვის თუ ცოლის მეოხებით არ შემწყდარა და არ შეწყდება ეროვნული მაჯის ცემა.

ასე მეგონა, როცა ვხედავდი ტიპიურ ქართველ სტუდენტის ბუზღუნს. ახლა კი დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი, რომ დღევანდელი ქართველი ახალგაზდა ქალი, ეს მომავალი ქართველი დედა, ოჯახში თუ საზოგადოებაში ვერამც თუ ვერ გამოაბრუნებს გადაგვარების გზაზე დამდგარს ქართველ ვაჟს, პირიქით, თითქოს ეტოქება მას, რომ გაუსწროს ენის შერყვნაში და გულმოდგინედ არუსულებს, სადაც საჭიროა და საჭირო არ არის. მომავალის შედეგის მხრით ეს არის ნამდვილი უბედურობა და არა ის ჩვეულებრივი მწარე ღიმილის მომგვრელი გარემოება, რომ ჩვენებური ცოტად თუ ბევრად ნასწავლი ვაჟი ვერ ახერხებს ქართულად ლაპარაკს. ეს არის ღრმად სამწუხარო, რომ ჩვენის ოჯახის და ეროვნების დედაბოძი—ქალი რყვნის დღეს სამშობლო ენას და არა ის უკვე მომხდარი ფაქტი, რომ ჩვენებურმა ვაჟმა, ამ მომავალ ჩინოვნიკმა თუ ადმინისტრაციის მოხელემ, უკვე დაივიწყა ეს ენა, როგორც ცხოვრებაში „მეტი ბარგი“.

ამ დროინდელი ახალგაზდა ქართველი ქალაქელი ქალი შინ თუ გარეთ, სადაც კი ამყოლს იშოვნის, მხოლოდ რუსულად ლაპარაკობს— აი მართლა სატირალი მოვლენა. როცა თვით ქალაქებში ჰხედავ ამ მოვლენას, როგორღაც განსაკუთრებით ყურადღებას არ აქცევ მას. გგონია, რომ აქ იმიტომ ჰკჰკობენ რუსულად შენი და და ქალი... რომ აქ ათასი ჯურის ხალხია და მათი საერთო ენა რუსულია. მაგრამ როცა ამასვე განაგრძობენ ისი... ნი სოფლად, სადაც მხოლოდ ქა... რთველი საზოგადოებაა, მწარე ნაღ... ველით გევსება გული, რადგანაც... რწმუნდები, რომ შენი საყვარელ... ახალგაზდა არსებანი ვერ ახერხებ... დედა შენის ენაზე ვერც მუსაიფს... ვერც ალერსს და ვერც ჩხუბსა.

— მადლობა ჩემს გამჩენს,—სე... დიანად იოხუნჯა ამას წინათ ერთ... საზოგადოებაში ქართველმა მანდი... ლოსანმა,—რომ ჩემმა ქალებმა მე... ტი სხვა ენა არ იციან, თო... რემ სულ გადამრევდნენ. დედა ვ... ყავი და ახლა კი „მამა“ და „მამუ... სია“ გავხდი. კიდევ სხვა რო... იცოდნენ, ალბათ სხვა რამესაც და... მარქმევდნენო.

ღრმად დამახასიათებელი სიტყვე... ბია. თანამედროვე მოზარდი ქარ... თველი ქალი აშკარად ამაყობს რუ... სულის უხეირო ცოდნით და ... ენაზედ გამოსთქვამს თავისი პატარა... დამახინჯებულ გონების მუშაობას... თითონ ირყვნება, რყვნის ოჯახ... და ყველას, ვისაც საუბედურო... იმათთან საქმის დაჭერა უხდება.

აგარაკად ხშირად გაიგონებ ასეთ... ფრაზებს: „კაკოი ჩუდნი პრირო... ზდეს“ ან „ტეფერ ია სუდოვოლ... სტვია ვიპიუ ხოლოდნი ვადა“ დ... სხვანი.

ეს მზარეული. გადია, მრეცხავ... და სხვა ამნაირ ხელობის ქალებია, რომელნიც ერთგულად ჰბაძავენ... თავიანთ „პატარა ქალბატონებს“... ლაპარაკში, ვითომ ამით ისინიც...

ლაც გამეორდა მისიონერთა კრებაზედ.

დიაღ, აქ ადგილია ცრუ ნუგეშისცემით „მეორის მწარე წყლის" დატკბობა.

არც გასაკვირვია იმათგან ამ გვარი ნუგეში.... **ვ. ნამორაძე.**

„სახალხო გაზეთის" კანტორა

აცხადებს, რომ 8 აგვისტოდან მოესპო გაზეთის გზავნა იმ ხელის მომწერთ, ვისაც 6 მანეთზე ნაკლები ჰქონდა შემოტანილი. აგრეთვე მოესპოთ გზავნა თვიურ ხელის მომწერთაც, რომელთაც 8 აგვისტოსთვის არ შემოიტანეს ხვედრი ფული.

**მოვაგონებთ** წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ივლისისათვის უნდა გადაეხადათ წლიური ხელის მოწერის ფასი. ვისაც სრულად არა აქვს შემოტანილი, დაიჩქარონ და შემოიტანონ.

ვისაც ფული აქვს გამოსაგზავნი აუცილებლად ამ მისამართით გამოგზავნონ: Тифлисъ, Большая Ванкская №12, Семену Пашалишвили.

კანტორა პასუხის-მგებელი არაა, თუ ფული სხვა მისამართით იყო გამოგზავნილი და გაზეთი არ მიუვიდათ. ვინც „სახალხო გაზეთზე" ან სხვა სახელზე გამოგზავნა ფული, დაიჩქაროს და განცხადება შეიტანოს ფოსტის კანტორაში ფული ზემოდ ნაჩვენებ ადრესზე გადასცენ. „სახალხო გაზეთის" კანტორა.

# დიდი საქმის კარგი დასაწყისი.

ჩვენი ქვეყანა დიდ გასაჭირს განიცდის. გონებრივ სიბნელეს, ეკონომიურ დაქვეითებას ხელთ უჭირავს ჩვენი ხალხის ბედ-იღბალი. მიზეზი ასეთი უნუგეშო მოვლენისა მრავალგვარი და მრავალ-ფეროვანია: ზოგში თვით ჩვენ, ქართველები, ჩვენი ინტელლიგენციაა დამნაშავე, უმთავრესად კი საზოგადო პირობები დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრებისა. თუ ჩვენი ხალხი სენით არის შეპყრობილი საზოგადოდ, კერძოთ უძლიერეს გასაჭირშია ჩვენი სოფელი, ჩვენი გლეხი, ბევრი კარგი გაგვიგონია ჩვენი გლეხის შეგნებაზედ, გაგვიგონია ისიც, რომ იგი მზად არის შეებრძოლოს ავსულთ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ საეროთ ბრძოლის ველზედ ახლად გამოსული ხალხი გადაჭარბებით აფასებს მოვლენებს, გატაცებულია რომანტიულის ოცნებით. ჩვენი სოფელი დიდ გასაჭირშია; თითქმის უფსკრული სიბნელით მოცულია, არაროდეს არ უნდა დავივიწყოთ ეს; ოცნებას ადგილი აქ არა აქვს. მამაცად უნდა შევხედოთ უბედურებას.

იმედია ყველა დაგვეთანხმება ნათქვამზედ. მაშასადამე, რა საშუალებანი უნდა მივიღოთ, რომ ჩვენი გლეხი ცოტაოდენად არის გასაჭირიდან გამოვიყვანოთ? ცხადია, თუ ავადმყოფი თვალწინ გვყავს, უნდა ვეცადოთ შევიგნოთ რა გვარი სენით არის იგი შეპყრობილი; საჭიროა მუყაითი გამოკვლევა და მხოლოდ შემდეგ ზომების მიღება. მართალზედ უმართალესია ასეთი წინადადება! მკითხველი გვისაყვედურებს კიდეც ასეთ აზრებს რომ ამოიკითხავს ბავშვმაც კი იცის, რომ ჯერ გასინჯვაა საჭირო და შემდეგ ზომების მიღება. უკაცრავად, თუმცა ძლიერ უბრალო აზრი გამოვთქვი, მაგრამ თუ ამას მივიღებთ მხედველობაში ჩვენ ცხოვრებასთან შედარებით, მაშინ ვნახავთ, რომ ეს აუცილებელი ჭეშმარიტება დაგვიწყებია. რამდენი ხანია ისმის წუხილის ხმა ჩვენი სოფლის ჭირვარამის შესახებ, ვინ იცის! რა გავაკეთეთ ამ მოვლენის გამოკვლევის და სოფლის წუხილის შესაწყნარებლად?

თამამად გავიძახით საქართველომ ფეხი გადასდგა კაპიტალისტურ წესწყობილებაში, გავიძახით, ქართველ მუშათა კლასზედ, ვიხსენიებთ ქართველ ლუმპენპროლეტარიატს, რომელმაც შეიგნო თავისი ერთობა მსოფლიო მუშათა კლასთან და იმასაც დავსძენთ ამაყად, რომ ჩვენი მუშა-კლასი მზად არის მკლავი დაუჭიროს მსოფლიო მუშა ხალხს და შეერთებულის ძალებით შეებრძოლოს ბურჟუაზიას. თქვენი არ ვიცი, მკითხველო, მე კი, როდესაც ასეთ სიტყვებს ვისმენ, ჟრუანტელი გამივლის ტანში. სად გაიგეს ამდენი ახალი ამბები? საიდან არის ამოღებული ამდენი შესანიშნავი სურათები? კადნიერებად ნუ ჩამომერთმევა, ზემო-ხსენებული საზოგადო აზრი ჩვენი მუშათა კლასის შესახებ შედეგია მხოლოდ საერთო გეგმისა, წინ და წინ შემუშავებულის და ამ კალაპოტში უნდა იქმნეს მაინცა და მაინც ჩასმული ჩვენი მუშა. დანამდვილებით ჩვენ არ ვიცით ჩვენი მუშა-კლასის ვინაობა. ჩვენ მხოლოდ საზოგადო წარმოდგენა გვაქვს მაზედ, ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია ჩვენი მუშა-ხალხის ყოფა-ცხოვრების, მისი მდგომარეობის დაწვრილებით შესწავლის შესახებ, მაშასადამე, რაც უნდა რიგიანი აზრები გამოვთქვათ ქართველი მუშის შესახებ, ეს მხოლოდ მაღალი სიტყვა იქნება და მეტი არაფერი. სიტყვას აბა რა ფასი აქვს? სიტყვამ, არის, რომ დაგვღუპა!

რაც უნდა ბევრი ვილაპარაკოთ ქართველ მუშის ბინადრობა მომეტებულად სოფელია, ქალაქის „პროლეტარიატი" ჯერ არ არის, არ არის მიტომ, რომ ძლიერ ნაკლები უჭირავს ადგილი ჩვენში ქარხნის წარმოებას და საერთოდ ალებმიცემობას. ჩვენი მუშა-კლასი—სოფელშია; იქ უნდა შევიხედოთ, და შევაღოთ კარები გლეხის ფაცხაში.

მაშასადამე, სანამდის კარგად არ გავიცნობთ ჩვენ სოფელს, მის მცხოვრებ ეკონომიურ მდგომარეობას, მანამდის ბრძოლა, მანამდის ზომების მიღება ჩვენი სოფლის ჭირ-ვარამის დასახსნელად უადგილო და უშედეგო იქნება.

დიდი საქმე არის შესაძლებელი, ჩვენ და სასიხარულოდ ამ დიდი საქმის შესრულებას შეუდგა კავკასიის სამეურნეო საზოგადოება. დასაწყისი მშვენიერია. მე ხელში მიჭირავს ორი წიგნი: 1) „Императорское Кавказское Общество Сельскаго Хозяйства Статистическое Бюро. Сельско-хозяйственный обзоръ Тифлисской губерніи за 1908 г., Тифлисъ, 1909 г. გვ. 1—XIII+64". 2) „Сельско-хозяйственный обзоръ по Закавказью за 1909 г., Тифлисъ, 1910 г. გვ. I—II+185".*) დასახელებული წიგნები შეიცავენ სამეურნეო მიმოხილვას ამიერ კავკასიისას. წიგნში მოთავსებულია მრავალი სტატისტიკური მასალა ამიერ კავკასიის მეურნეობის შესახებ. ჩვენ ლიტერატურაში ამ გვარი წიგნი პირველ მაგალითს წარმოადგენს. მართალია სამეურნეო ცნობები იკრიბებოდა წინეთა ამიერ კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის, თვით კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მიერ, ზოგიერთი ცნობებიც მოიპოვება სამინისტროს ყოველწლიურ სტატისტიკურ გამოცემაში, მაგრამ დასახელებული ცნობები არ იყო სისტემატიურად შეკრებილნი, შეეხებოდნენ მხოლოდ ზოგიერთ მხარეს მეურნეობისას. ამას გარდა ამიერ კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის და სამინისტროს სტატისტიკური კრებულის ცნობებს ვერ ენდობა მკვლევარი, ყოველ შემთხვევაში ძლიერ სიფრთხილეს საჭიროებს მკითხველს. საქმე იმაში არის, რომ სტატისტიკური ცნობების შეკრებას კავკასიის კომიტეტი ავალებდა სოფლის ადმინისტრაციას, სოფლის კანცელარიებს, მამასახლის, და რა თქმა უნდა, რომ დასახელებული დაწესებულებანი და პირები ცდილობდნენ მთავრობის განკარგულების ასრულებას და ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ჭეშმარიტ-უტყუარ ცნობებს. კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ განიზრახა სამეურნეო სტატისტიკური ცნობების შეკრება სისტემატიურად, ყოველ წელს წინ და წინ შემუშავებული გეგმის მიხედვით. ამ მიზნის მისაღწევად, დაარსა „სტატისტიკური ბიურო" 1908 წ., რომელიც აწარმოებს სამეურნეო სტატისტიკურ ცნობების შეკრებას და შემუშავებას ყოველ წლიურად. ვინაიდგან საქმის საწარმოებლად საჭირო იყო სახსარი, საზოგადოება იძულებული შეიქნა მიემართა ნამესტნიკისათვის დახმარების შესახებ, ნამესტნიკმა დახმარება აღმოუჩინა და საზოგადოებამ შესძლო წელს დიდი მიმოხილვის დაბეჭდვა შესახებ ამიერ კავკასიის მეურნეობისა 1909 წ., პირველი გამოცემა შეიცავს ცნობებს მხოლოთ ტფილისის გუბერნიის მეურნეობის შესახებ 1908 წ. დასახელებულ წიგნებში მოთავსებულია მრავალიგვარი ცხრილები, სავსე ციფრებით, რომლებიც ნათლად ახასიათებს კავკასიის მეურნეობის მდგომარეობას. მეორე წიგნი ეხება ამიერ კავკასიის მეურნეობას 1909 წ. შეიცავს 27 ცხრილს, უჭირავს 172 გვერდი. და გვაძლევს უძვირფასეს სანდო მასალას. თითეული ცხრილი უდიდეს ყურადღებას მოითხოვს. მკითხველის ყურადღებას იქცევს ცხრილი შესახებ მუშა ხელის ფასისა სოფელში სხვა და სხვა სამუშაო დროს, ცხრილი შესახებ—მიწის იჯარის მეოხებისა, მიწის ფასებისა, მევენახეობა და სხვა (შემდეგ წერილებში ვეცდებით ამ კითხვების განმარტებას ახალი მასალების შემწეობით). შემდეგ კავკასიის სამეურნეო საზოგადოება გვპირდება ცალკე გამოცემას, რომელიც ახასიათებს კავკასიის ახალი ცნობების მიხედვით. რამდენად სანდოა ახალი გამოცემის მასალა? მასალა შეკრებილია თავისუფალი კორესპონდენტების მიერ. საზოგადოებამ დამზადებული დავთრები დაუგზავნა სოფლის მასწავლებლებს, სამღვდელო პირებს, მემამულეთ, მათ დავთრები აავსეს ცნობებით. სამწუხაროდ დავთრები ბევრი იყო გაგზავნილი, მხოლოდ ცნობები კი ყველამ არ მიაწოდა საზოგადოებას. იმედი არის, რომ სოფლის ინტელლიგენცია დააფასებს თუ რამდენად დიდ საქმეს ასრულებს კავკასიის სამეურნეო საზოგადოება და ეცდება მიაწოდოს საჭირო ცნობები. მაგრამ მაინც ჩვენი სოფლის ინტელიგენციამ დიდი მამულის სიყვარული და დიდი შეგნება გამოიჩინა და თავისი დაკვირვებული მუყაითობით დიდის სიამოვნებით მიეგება სამეურნეო საზოგადოების თხოვნას. 1909 წ. მიმოხილვა შედგენილია 406 კორესპონდენციის შემწეობით, ეს რიცხვი გვეუბნება ნათლად, რომ კავკასიის სოფლის ინტელიგენციას სურს ემსახუროს ეროვნულ შეგნებას. კორესპონდენტები უმეტესად არიან სოფლის მასწავლებლები, სამღვდელო პირები, შემდეგ კი მემამულენი. როდესაც საზოგადოებამ მიმართა თავისუფალ კორესპონდენტებს, სოფლის ინტელიგენციას, მაშინ იგი იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, რომ დასახელებული პირები კარგად იცნობენ სოფლის ცხოვრებას, სოფელს; ჩვენში, რომ საერო დაწესებულებანი ყოფილიყო, მაშინ სტატისტიკური ცნობების შეკრება სხვა ნიადაგზედ იქნებოდა დაყენებული უფრო კარგ საშუალებას სამეურნეო საზოგადოება ვერ მოსძებნიდა: თავისუფალი კორესპონდენტები აღჭურვილნი მინდობილ საქმის მნიშვნელობით აწვდიდენ საჭირო მასალას, მაშასადამე ახალი სტატისტიკური მიმოხილვის მასალას ვენდობით. სამეურნეო საზოგადოების ბიურო გვპირდება მომავალში საქმის გაგრძელებას, მაშინ კი საშუალება გვექნება შესაფერი აზრი გამოვთქვა ჩვენი სოფლის მდგომარეობაზედ და მაშინ შესაძლებელი იქნება უტყუარი ზომების მიღებაც. მაგრამ საქმის გაგრძელებას ნუ მოუცდით, ჩაუკვირდით იმ ცნობებს, რომელიც მოთავსებულია ამ ორ წიგნში და ნათლად დაინახავთ ჩვენ ჭირვარამის მიზეზებს... სურათი ეხლაც ნათლად მოსჩანს. ახალი საქმე დაწყებული, ეს **პირველი** დიდი მაგალითი ჩვენში. დასახელებულნი წიგნები **პირველი ცდა არის**, მას ნაკლიც აქვს, როგორც პირველ გაკვეთილს, ნაკლის ძებნას არ შეუდგებით. იმდენი რამ გვაუწყა ამ ორ წიგნმა, რომ საკმარისია ჯეროვანი ყურადღება, მათი შეგნება. მომავალში ნაკლი გისწორდება.

ხელი უნდა შეუწყოთ საქმეს. ვისაც სწამს ჩვენი ერის მომავლის ბედიღბალი, ვისაც შეუგნია მამულიშვილობა მიეგებება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების **კარგად დაწყებულ დიდ საქმეს**. და იმედია ჩვენი ინტელიგენცია საზოგადოთ, სოფლის კერძოთ, საშუალებას მისცემს კარგი საქმის კარგად წაყვანას.

**სიმ. ბებლიანი.**

*) დასახელებული წიგნები გადმომცა სამეურნეო საზოგადოების საწყობიდან ბ. იოსებ ქუთათელაძემ, რომელსაც უცხადებ უღრმეს მადლობას, როგორც ამ წიგნების გამოცემისათვის, ისე საჭირო ცნობების და წყაროების ჩვენებისათვის. ს. ა.

---

მართლა „ბარიშნა" გახდებიან. ესენიც არუსულებენ ან, როგორ ენამახვილად დასცინიან სოფლელები, „აპარუსკებენ". დღეს სოფლელი მათ დასცინის და ქოქოლას აყრის. მაგრამ ეს კიდევ არ უზრუნველჰყოფს სოფლელს, რომ დღეს-ხვალ მასაც არ გადაედება ეს სენი ქალაქში „გაბარიშნებულ" სოფლელ ქალებისაგან...

რა დაუშლის ამ დროს პირობებში რუსულ ენას სამარცხვინოდ განდევნოს ქართველ სოფლებიდან ქართული ენა? და განა მართლა რუსულს? არა, დასახიჩრებულს, საცოდავათ დაგრეხილ რუსულს,—იმ რუსულს, რომელსაც დღეს სიამოვნებით ითვისებენ ქართველი მზარეულებ - მრეცხავები. დღესაც ისეთ სიტყვებს, როგორიც არის „პოვეზდი", „ტარშინა", „ბორჩიკი", „სკუჩნაობა", „ხალასთოი", „სლივი" და სხვა მაგისთანები. სამოქალაქო უფლება აქვს მოპოვებული სოფლად. რასაკვირველია, ასეთივე ბედი მოელის ლექსიკონის დანარჩენ ნაწილსაც, თუ ქართველი ერი დროზედ არ დაადგა ეროვნულ განვითარების გზას, როგორც ამას ვხედავთ ჩვენს ნიჭიერ მეზობლებში—სომხებში.

მამაკაცს რაიმე თავის გასამართლებელი მიზეზი მაინც აქვს, როცა რყვნის სამშობლო ენას: საზოგადოებრივი წრე, მთავრობის მოხელეებთან დამოკიდებულობა, უცხოეთში სწავლა, სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახური—და სხვანი და სხვანი. თანაც მას გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს შვილების აღზრდაში და ოჯახში ეროვნულ მისწრაფებათა განმტკიცებაში, ვიდრე დედაკაცს, რომლის ეროვნული გადაგვარება და ენის გარყვნა მთელ ოჯახის გადარჯულებას და ეროვნულ სიკვდილს უდრის. მეტია ვამტკიცოთ, რომ გარდა ამისა არავითარი საოჯახო თუ საზოგადოებრივი გარემოება ძალას არ ატანს ქალსა ენა დაამახინჯოს თუ დაივიწყოს და უცხო ენით შელახოს შვილების აღზრდის წმიდა და დიადი საქმე. და როცა მიუხედავად ამისა, ქართველი ქალი დამახინჯებულ უცხო ენაზე ლაპარაკობს შინა თუ გარეთ, უსათუოდ და აშკარაა, რომ ეს მას უვიცობით, შეუგნებლობით და სულიერ გათახსირებით მოსდის.

აი სწორედ ამ მხრით და ამ გზით მოელის შიში, გარყვნა და უბედურობა ქართულ ენას. ქალაქელი ახალგაზდა ქართველ ქალის მიერ დაწყებული შეუფერებელი საქმე პოხიერ ნიადაგს პოულობს, იზრდება, სენად ედება სოფლელ ქალებს, შედის შორეულ ოჯახში და ძირს უთხრის ეროვნულ აღზრდა-განვითარებას, ერთობ ყველაფერს ქართულს და მთელს საქართველოს. ეს ისეთი უბედურობაა, რომლის მსგავსი სხვა არ შეიძლება მოხდეს ქართველ ერის მატიანეში.

რასაკვირველი, ყველა შეგნებულ ქართველს ვალად აძევს ამ მოსალოდნელ უბედურობასთან ბრძოლა, მაგრამ განსაკუთრებით ქართველ ქალთა შეგნებულ ნაწილს მოეთხოვება იგი. თუ ჩვენი დარბაისელი ქალები პირადის მაგალითით უჩვენებენ თავიანთ უმცროს დებს, თუ როგორის პატივით უნდა ეპყრობოდეს ყოველი ადამიანი სამშობლო ენას, კიდევ შესაძლებელია მიმბაძავი კაჭკაჭი გონს მოვიდეს, საკუთარ ხმას და ენას დაუბრუნდეს და თავიდან აგვცდეს კარზე მომდგარი უბედურება ენის გარყვნისა.

**ახელი.**

# მოწერილი ამბები

**მანგლისი.** მანგლისის აგარაკები წლეულს სულ დაქირავებულია მთაგარაკეთაგან. აქ გასართობი ბევრია: პარკში იმართება სეირნობა, საღამოები. ჭკმართავენ(?) წარმოდგენებს და სხვა. ფიჭვნარი დილა საღამოს სავსეა ხალხით. მოხარდი თამბა ზოგი თამაშობს ზოგი მეცადინობს სურნელოვან ფიჭვის ხეების ჩრდილს ქვეშ. სისუფთავე მანგლისში შტაბის ნაწილს უფრო ეტყობა, ვიდრე სხვა უბნებს. შტაბში თითქმის ყოველ დღე ჰგვიან(?) ქუჩებს რწყავენ და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამხედრო ჰოსპიტალისა, ბაღი და მისი საამო გრილი და სურნელოვანი ჰაერი ხალხსა და ფერს აძლევს ქალაქებიდან მოსულ ჩაყვითლებულ მთაგარაკეთ.

ვიდრე წალკაში მძვინვარებს ხოლერა მანგლისის ხოლერის მხრივ დიდ შიშს უნდა განიცდიდეს. მანგლისში კვირაში ორჯელ იმართება ბაზრობა. სადაც, როგორც ახლო მახლო სოფლებიდგან, ისე წალკიდან, მოაქვთ გასაყიდად სხვა და სხვა სანოვაგე. ადვილი შესაძლებელია წალკიდან ჩამოსული შემოიტანონ მანგლისში ეს სენი და მოედოს მთელს მანგლისს, თუ თავის დროზედ შესაფერი ზომები არ იქმნა მიღებული 5 აგვისტოს წალკის მღვდლები გულ გახეთქილნი ჩამოცვივდნენ მანგლისში წამლების და სხვა სადეზინფექციო მასალების წასაღებად. როგორც მათ გადმოგვცეს ხოლერა შემდეგ სოფლებში გაჩენილა და დახოცილან: წინწყაროში ოცდა ხუთი მომკვდარა, გუმბათში 18 მოკვდარა, ახალიკში 1 მომკვდარა, ბეშტაშენში 16 მომკვდარა წალკაში არარის არც ექიმი, არც ფერშალი და არც რაიმე სანიტარული ზომებია მიღებული, უსუფთაობა ბერძნებისა პირველ კატეგორიაში შეტანილი.

ქურდობამ და ცარცვა გლეჯამ აქაც იჩინა თავი მანგლისში გასცარცვეს იმედი მენახშირე, რომელსაც ერთი საპალნე გაუყიდა ნახშირის ფული წაართვეს და მიიმალნენ. 1 აგვისტოს ღამე უცნობები გადასულან ძველ მანგლისის (ქართულ) ეკლესიის გალავანში, ბოროტ განზრახველებს გაუტეხიათ ეკლესიის გარეთა კარების კლიტე და შესულან ეკლესიის კარის ბჭეში. შესდგომიან ეკლესიის შესასვლელ კარების გატეხვას ბევრი უწვალებიათ და რომ ვერ გაუღიათ მშვიდობიანად გასდგომიან გზას.

ერთი დიდათ შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა მანგლისში 4 აგვისტოს ადმინისტრაციას განუცხადა ვინმე პოსელენიელმა ბუდნიკოვმა: ჩემთან მცხოვრები 10 წლის ბერძნის ქალი, რომელიც სამი წლისა გავზარდე, ძალით გაუხრწნია პოსელენიელს ზაურიდნევს და სთხოვა დახმარება აღმოეჩინათ. გამოძიებიდან გამოირკვა, რომ 18 ივლისს ზაურიდნევს უბანავნია მდ. ალგეთში. მახლობლად ხსენებული ქალს გაუვლია იქვე ახლო ბოსტანში კარტოფილის ამოსაღებად, ქალს რომ შეუმჩნევია წყლის პირზედ ტანისამოსი, ხუმრობით აუღია ერთი ხუსტი და დაუმალია. როცა ზაურიდნევი მდინარიდგან ამოსულა ერთი ხუსტი ვეღარ უპოვნია. მაგარდნია იქვე ბოსტანში მუოფ(?) ქალი და მოუთხოვნია ხუსტი. ქალს უთქვამს არ მიმიგი(?) ხუსტი მანდ არისო, მაგრამ გამხეცებულს ზაურიდნევს არ გაუშვია მსხვერპლი, ვიდრე თავისი არ შეუსრულებია. ბევრს წივილ კივილზედ ქალს ქომაგი არავინ გამოუჩნდა.

ექიმებმა და ბებიამ ძალად გაუპატიურებლათ სცნეს ქალი და შესაფერი დახმარებაც აღმოუჩინეს ავადმყოფ ქალს ზაურიდნი 20 წ. გამომძიებლს უარი განუცხადა. იგი დააპატიმრეს.

**კოტე ვიფხვი.**

---

**კარდანახი** (ქიზიყი). სიცხეებს, როგორც ეტყობა ბოლო ედება, უკვე საგრძნობლად აგრილდა. ზოგიერთ ადრეულ ჯიშ ყურძენში თვალიც შევიდა. ყურძენს გამოსავალი კარგი უჩანს, თუ ჭიამ, რომელიც კიდევ უნდა გამოვიდეს, არ გააფუჭა ყურძნის მარცვალი. სეტყვისა ხალხს იმდენი აღარ ეშინიათ, დიდი იმედი აქვთ სადრუბელო ფილთა მეხის (მორტირა). მთელ სოფლის გარშემო უდგას შვიდი ფილთამეხა. ეხლა სოფელმა გამოიწერა კიდევ ორი ცალი საფრანგეთიდამ. პურის გამოსავალი საშუალოა. კალოობა არ არის წინანდებურად. ამის მიზეზი არის სალეწი მანქანა, რომელიც მალაკნებმა მოიტანეს. ერთ კოდ ხორბალის გალეწვაზედ იღებენ, ერთს ლიტრას სამუშაო ბევრი აქვს მანქანას. თითქმის მთელმა სოფელმა იქ მიიტანა გასალეწად. პირველად, ე. ი. ივნისში ეს მანქანა ჰქონდათ ს. ბაკურციხეში, სადაც გაალეწინეს დიდძალი ძნა.

იმავე სოფლის ბოლოზედ ამ დღეებში, მედარ(?) კით ტარიაშვილს წაგარდნია მდინარე ალაზანში ერთი ლორი, მას წაჰყოლებია, მაგრამ წყალს წაუთრევია და დამხრჩვალა.

რამდენიმე წლის წინად კარდენახი ქიზიყში ითვლებოდა პირველ სოფლად, სადაც კი შეიძლებოდა გართულიყო. იმართებოდა წარმოდგენები, ცოცხალი სურათები, სეირნობები და არსებობდა სამკითხველო.

წელს კი წარმოდგენა არა ყოფილა, თუმცა კი აპირებენ. იყო ცოცხალი სურათები, რომელიც სრულებით ვერ შეასრულეს. სუყველაფერში ეტყობოდათ მოუმზადებლობა. აგდეს კრძალვით თავის ჭერა და მომეტებულის სიცილი სცენაზედ, ხელოვნება გარდაიქციეს სასაცილოთ. სურათები, როგორც გადმომცეს დაახლოვებულმა პირებმა, დაიდგა სამკითხველოს სასარგებლოდ და დარჩენიათ შვიდ თუმნამდე. თუმცა კი ჯერ არაფერი არ დასტყობია რა სამკითხველოს. იქნება ცამეტი წელი, რაც სამკითხველო არსებობს. შიგ არ მოიპოვება არც მაგიდა, არც სკამები. სამკითხველოში მომეტებული წილი დადიან სკოლის შეგირდები. მოზრდილი ხალხი სრულებით არ დაიარებიან, რადგანაც მათთვის სამკითხველოში სანუგეშო არა მოიპოვება რა. ქართული წიგნები, შეიძლება ითქვას, რომ სრულებით არ არის, სამაგიეროდ რუსული ბლომად არის. ოთხს ცალზედ მეტი არის შეტანილი სიაში, და ერთი შკაფიც რუსულ ჟურნალებით არის სავსე. ხეტა(?), ვისთვის არის საჭირო ამოდენა რუსული წიგნები. ამ სამკითხველოს ტყუილად ჰქვიან სახელი „სახალხო სამკითხველო", თავის მნიშვნელობას არ ეფარდება.

**ეგარსლანი.**

---

**ს. შილდა** (თელავის მაზრა). 1908 წლის მიწურულში თავ. რუსიშვილებმა სასოფლო ყრილობაზედ განუცხადეს ხალხს, ვყიდით ჩვენს საკუთარ ტყესა და იალალს, რომელიც შილდის მიდამოებში მდებარეობს. სწორედ იმ დროს ხალხი მეტად შეწუხებული იყო გადასახადებით. ოთხი წლის გადასახადი ერთ-დროულად გადაახდევინეს, ამიტომ უარი უთხრეს თავ. რუსიშვილებს ტყისა და იალალის ყიდვაზე. გლეხებს დიდი სურვილი ჰქონდათ მამულის შეძენისა, მაგრამ უსახსრობისა გამო უკანა დგებოდა. რუსიშვილები მაინც ცდილობდნენ მიეყიდათ მამული გლეხებზე. შეუჩინეს რამდენიმე გლეხი, ურჩიეს მადაზიის ფულით ხომა გაქვთ 800 თუმანი, გამოიტანეთ და იყიდეთ

მამულით. ბოლოს ხალხმა დაუჯერა მრჩევლით და გადასწყვიტა მამულის შეძენა. 800 თუმანს ბანკიდან გამოიტანდნენ, უსარგებლოდ, მამული ხელში ექნებოდათ და ისარგებლებოდნენ ღალის გაუღებლად. სოფლის ყრილობაზე დაადგინეს: იყიდონ თავად რუსიშვილების ტყე და იალაღი 800 თუმნათ იმ პირობით თუ მათ მთავრობა 809 თუმანს მისცემს **უკან დაუბრუნებლივ**, წინააღმდეგ შემთხვევაში სოფელი უარს ამბობს მამულის შეძენაზე. ამოირჩიეს ამასთანავე სოფლის სამი რწმუნებული და მათ მიანდეს ეწარმოებინათ საქმე. რადგან ბ. რუსიშვილებს ფულები სჭირდებოდათ იმ დროს ბანკში შესატანათ. სთხოვეს სოფლის რწმუნებულთ მიეცათ მათთვის ბე და დასდეს ხელშეკრულობა: უკეთუ სოფელს არ მიეცემოდა ბანკიდგან **უკან დაუბრუნებლად** 800 თუმანი, რუსიშვილები მოვალენი იყვნენ დაებრუნებინათ სოფლისათვის 60 თუმანი, რომელიც ბედ აიღეს. ნაწილი ამ 800 თუმნის (400 თუმანი) 1908 წ. ბ. ნ. ჭავჭავაძის (მომრიგებელ შუამავალი იყო) დახმარებით სოფელმა გამოიტანა ბანკიდგან. იყიდა შაბიამანი და გაინაწილეს ერთმანეთ შორის მხოლოდ შემოდგომაზედ უნდა აკრეფილიყო ყველასაგან დირებული ფასი წადებულ შაბიამანისა და უკან ბანკშივე შეეტანათ. აი ეს ფულები იკრიფებოდა დეკემბრის პირველ რიცხვებამდე 1908 წ. და ამ ფულს მოაკლდა ის 60 თუმანი, რომელიც ბ. რუსიშვილებმა მიიღეს ბედ.

დადგა ივნისი 1909 წლის. ამ თვეში ბ. რუსიშვილებს პირობისამებრ უნდა მიეღოთ 400 თუმანი. ამ ხნის განმავლობაში სოფლის რწმუნებულთ გაიგეს რომ მათ ბანკიდგან ფული არ ეძლევათ სამუდამოთ და ისინი მოვალენი არიან გატანილი ფული უკანვე შეიტანონ; მეტი გზა არ იყო, სოფელს უარი უნდა ეთქვა ბ. რუსიშვილებისათვის- უკანასკნელთ არ ესიამოვნათ ეს გინცხადება და მეუთვალეს გდეხებს: „ტყე მთლათ გაგვიოხრეთ და ახლა უარს ამბობთ ყიდვაზედაო“. რუსიშვილებმა გუბერნატორიდგან მოიტანეს მოწმობა, რომელშიაც ნათქვამი იყო- დაუყონებლივ ჩაბარდეს ბ. რუსიშვილებს შილდის საზოგადოებისაგან 400 თუმანი პირობის ძალით. ხალხი გასული იყო სამუშაოდ. ყველა ახქარებდა მოემკო და დაებინავებინა წლის სარჩო. ყველა გართული იყო თავის საქმეში და საერთო საქმისთვის ვის ეცლებოდა! ბევრი ქვრივ ოხერის უკანასკნელი ქვაბი და ფარდაგი გაიყიდა, ბევრის საპალნე ღვინო ჩარჩებმა დაიწერეს 12—15 მანეთად. გაჭირებული ხალხი ახლა და მოვიდა გონს გაგზავნეს თავიანთ რწმუნებული გუბერნატორთან, მაგრამ სანამ ისინი ინახულებდნენ ბ. გუბერნატორს ბ. რუსიშვილებმა უკვე ჩაიხხრიალეს ფულები. განვლო ერთმა წელმა მას შემდეგ. რუსიშვილებმა მალე გააქრეს ფული. დასჭირდათ ფული და მიმართეს ხერხს. ჯერ კიდევ სანამ ფულებს მიიღებდნენ უთვალ შემთხვევისთვის შეადგენინეს ბოქაულს ოქმი 500 თუმნისა, ვითომ სოფელმა მათ გაუჩეხათ ტყე და ამ ოქმით დაიწყეს საჩივარი ხალხს არ აკმარეს წვალება ხედახლად სურთ სულამდე ხელი ჩაავლონ და ისიც ამოჭკლიჯონ. დრო ბ. რუსიშვილები შეეკითხნენ თავიანთ თავს რამდენად სამართლიანია მათი საქციელი ხალხის წინაშე და ისე მოიქცნენ. კარგი იქნება ბ. მოსამართლეთ, რომელთ ხელშიაც ეს საქმე სწარმოებს, მეტი ყურადღებით მოექცნენ ასეთ უსამართლობას.

**ლ. ბედნიერიძე.**

## „606“

ერლიხის პრეპარატი თან და თან ფართო წრეების ყურადღებას იქცევს. მთელი ქვეყნის საავადმყოფოებში ექიმები სცდიან მის გავლენას ავადმყოფებზე და ცდის შედეგებს თვით ერლიხს ატყობინებენ. ამიტომ, თქმა არ უნდა, ყველა დაინტერესდებოდა იმ მოხსენებით, რომელიც ერლიხმა და მისმა ახლოთანამშრომლებმა მაინის-ფრანკფურტის საავადმყოფოში წაიკითხეს. ამ მოხსენების შესახებ „რეჩ“-ის კორესპონდენტი შემდეგს იტყობინება.

„აუარებელი ექიმები, ადგილობრივი და საზღვარ-გარეთელები შეიკრიბნენ ფრანკფურტის ქალაქის საავადმყოფოს მოხდენილ აუდიტორიაში, სადაც ერლიხს თავისი მოხსენება უნდა წაეკითხა. სამიოდე სამხედრო ექიმია, რამდენიმე ქალი, დანარჩენნი კი სულ ძველი ექიმები არიან. ყველა ერლიხს ელის, თითქმის სცენაზე გამოჩენილი მომღერალი უნდა გამოჩნდესო. დამსწრეთ მოუთმენლობა და აღელვება ეტყობათ ბოლოს თვით ერლიხიც გამოდის, პატარა, ქალარით შემოსული მოხუცი. საზოგადოება მეცნიერს ტაშის კვრითა ხვდება ერლიხიც მორცხვობით თავს უკრავს და კუთხეში ჯდება. პირველად მოხსენება პროფესორმა ჰერშეირმა წაიკითხა ამ პროფესორს ასეთი ცნობა აქვს. ასჯერ უცდია ერლიხის პრეპარატის გავლენა ავადმყოფებზე, და ერთი მიღებითვე გასქრა ავადმყოფების ნიშნები. უფრო ხშირად კი-ერთი კვირის შემდეგ, ხანდახან კი-ორი სამი კვირის შემდეგ. განსაკუთრებით კარგს გავლენას ახდენს პრეპარატი მძიმე ავადმყოფებზე: ან, ავადმყოფი, რომელსაც სასა ისე დაავადებია, რომ საჭმელის მიღება მხოლოდ ხელოვნურის საშუალებით შეეძლო, ეხლა კი, ორი კვირის წამლობის შემდეგ, ავადმყოფს თამამად შეუძლიან დამოუკიდებლად და ბუნებრივად გამოიკვებოს თავი. აი კიდევ მეორე ავადმყოფი, რომელიც აუტანელი ნევრალგია მოსვენებას არ აძლევდა და უძილობაში აგდებდა მას, მიიღო თუ არა ავადმყოფმა ერლიხის პრეპარატი, მეორე ღამესვე მშვენიერად დაიძინა. სკეპტიკები იტყვიან, თვით შთაგონებააო. ძნელი დასაჯერებელია, რადგანაც მეტისმეტ ტკივილებისაგან ავადმყოფს კბილები სულ ჩანაჭუჭებული ჰქონდა.

კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი მაგალითია ამისთანა.

ისინი აქ არიან, თქვენ შეგიძლიან ნახოთ და დარწმუნდეთ, რამდენად მოხარულნი არიან განკურნებული ავადმყოფები... თუმცა ყველანი აქ არ არიან. უმეტესნი, ამ მხრით უფრო საინტერესო ავადმყოფნი, იმდენად მოხარულნი იყვნენ განკურნებით, რომ ერთი დღეც ველარ დავარჩინეთ საავადმყოფოში. პროფესორს არავითარი მავნე შედეგები არ შეუმჩნევია, თუ სიცხის მომატებას მავნე შედეგად არ ჩავსთვალით.

პირიქით, ავადმყოფები წელში იმატებდნენ ხოლმე და საზოგადო ჯანმრთელობაც ემჩნეოდათ. პროფესორმა თავისი მოხსენება იმით გაათავა, რომ მთელ დატანჯულ კაცობრიობის სახელით მადლობა მიუძღვნა ერლიხს. კვლავ ტაშის კვრა, კათედრაზე ერლიხი ავიდა. იგი აღელვებულია და ამიტომ რამდენსამე წუთს ყველაფერს ამბობს. ერლიხის სტატისტიკა უფრო ფართოა—იგი და ათას შემთხვევას შეეხება, რასაკვირველია, ეს მისი პირადი სტატისტიკა არ არის, რადგანაც მას, როგორც არა ექიმს, ერთხელაც არ უცდია პირადად პრეპარატის გავლენა ავადმყოფებზე. მაგრამ თავის პრეპარატს ექიმებს მხოლოდ იმ პირობით აძლევს, თუ დაწვრილებითი და სწორე ცნობებს მიაწვდიან. განსაკუთრებით დიდს ყურადღებას აქცევს ერლიხი უარყოფით მხარეებს, და სწორედ ამის შესახებაც სურდა მოელაპარაკა ამხანაგებთან.

ავად-მყოფებს სენი უბრუნდებოდათ მხოლოდ პირველ ხანებში, როდესაც საკმაო ზომით არ ახმარებდნენ წამალს. შემდეგ კი, როდესაც ზომა გაარკვიეს, სენი უკან აღარ დაჰბრუნებიათ. მოწამვლა, რაც ექიმებს ბადაკსა და სობოტკას შეუმჩნევიათ, სხვა ექიმთა დაკვირვებამ არ დაადასტურა. ამიტომ ერლიხი დარწმუნებულია, რომ ამას ბრალი უნდა დაედოს ისევ ზემოხსენებულ ექიმებს, რომელთაც ავადმყოფები შეცდომით მოუწამლიათ მეტილის სპირტით. „606“ ამ სპირტში იხსნება დაბრმავება, რომელიც ემჩნეოდათ ათაშანგიან ავად-მყოფებს ატოქსილის წამლობით, ექიმებს ეხლა არც ერთხელ არ შეუმჩნევიათ. მიუხედავად ამისა, ერლიხს მაინც საჭიროთ მიაჩნია ფრთხილად მოექცნენ ხოლმე ისეთს ათაშანგიან ავადმყოფს, რომელსაც სუსტი თვალები აქვს.

მოკვდა სულ ოთხი ავად მყოფი ამათგან სამი უიმისოდაც მოკვდებოდა, რადგანაც უნუგეშო მდგომარეობაში იყვნენ ერთი ახალახალგაზრდა ქალი კი მართლა 606-ის მიზეზით მოკვდა. რასაკვირველია, ეს არა სასურველი მოვლენაა. მაგრამ ასეთი მცირე პროცენტი სიკვდილისა ყოველნაირ წამლობის დროს შეიძლება. ავტომობილები და ტრამვაებიც იმსხვერპლებს ხოლმე ხალხსა, მაგრამ მაინც სიარულს არ იშლიან. ერლიხი დაიმედებულია, რომ ტეხნიკის განვითარებით ეს ერთი პროცენტი სიკვდილისაც არ იქნება.

იტალიიდან ერლიხს ცნობა მიუღია, რომ ათაშანგის გარდა, 606 მალიარიზედაც მოქმედებს კარგად. რანაირი დასკვნა გამოჰყავს ერლიხს ამ ცნობებიდან? ყველა ექიმებს 606 სასარგებლო პრეპარატად მიაჩნიათ და საჭიროთა ხედავენ მის საზოგადო ხმარებაში შეტანას, მაგრამ ერლიხი ჯერ-ჯერობით ამის წინააღმდეგია. როდესაც 20—30 ათასი მტკიცედ ნაცადი შემთხვევა ექნება, თავის რეპარატის უკანტრო ხმარების ნებართვასაც ექიმებს მაშინ მისცემს“.

## უცხოეთი

**კამათი პროფესიონალურ კავშირების შესახებ.**

ჟენევაში, როგორც „პარიზის ლისტოკი“ იუწყება, ივლისში გაუმართავთ სამი საჯარო კრება, რომლებზედაც პროფესიანალურ კავშირების საკითხს არკვევდნენ. კრება მეუმრავლესე (ბოლშევიკი) გორინის მოხსენებით დაწყებულა. განსაკუთრებულ ინტერესს კრებებს ის აძლევდა, რომ კამათში გ. ვ. პლეხანოვიც იღებდა მონაწილეობას. მომხსენებელმა აღნიშნა, სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში სამი მიმდინარეობა არსებობსო. ერთი მიმდინარეობა, რომლის გამომხატველადაც „გოლოს სოც.-დემოკრატა“ უნდა ჩაითვალოს, პროფესიონალურ კავშირთა მნიშვნელობას ძალიან აზვიადებს და დარწმუნებულია, რომ მუშათა მონაწილეობა კავშირებში თავისთავად ანვითარებს მათში კლასიურ თვითშეგნებას და აიძულებს მუშათა პარტის დაარსებას. სხვებს, ეგრედ წოდებული „ვპერიოდოვცებს“ ჰგონიათ, რომ მუშათა მონაწილეობა პროფესიონალურ კავშირებში ჰქმნის ტრედუნიონისტურ მიმდინარეობას, რომელიც მუშათა პოლიტიკის პარტიისთვის მავნებლად უნდა ჩაითვალოს. და ბოლოს, მესამე მიმართულებას საჭიროთ მიაჩნია პროფესიონალურ კავშირებში მუშაობა, მხოლოდ ისე კი, რომ პარტიულ საქმის ამით არაფერი ევნოს. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია შეერთება და შეკავშირება ამ მესამე მიმდინარეობისა.

გ. პლეხანოვმა უპირველეს ყოვლისა „ლიკვიდატორების“ წინააღმდეგ გაილაშქრა. პლეხანოვის სიტყვა გამოიწვია ერთი ორატორის წინადადებამ —„სოც.-დემოკრატიული პარტია მხოლოდ „დიალექტიურად არსებობსო“ ამაზე პლეხანოვს განუცხადებია: პარტია არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლის დროს მან ბევრი რომ გამოსცადა. ბ-ნი პოტრესოვები, ეგოვები და სხვანი, რომელნიც წარა-მარა გაჰყვირიან, პარტია აღარ არსებობსო, მოღალატენი არიან. ვისაც სამხედრო ისტორია შეუსწავლია, ეცოდინება, რომ ხშირად ხუთ ბატალიონებიდან ერთი-ორი როტა დარჩება ხოლმე დროშით. მაინც მოღალატედ უნდა ჩაითვალოს ის გენერალი, რომელიც მოწინააღმდეგესთან წავა და ეტყვის: „ჩვენი არმია აღარ არსებობს, მხოლოდ მისი ნაგლეჯებიღა დარჩაო“. ლიკვიდატორებიც სწორედ ასე იქცევიან. როდესაც ვარკვევთ ჩვენს დამოკიდებულებას პროფესიონალურ კავშირებთან, უპირველეს ყოვლისა უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ, ე. ი. სოც.-დემოკრატიული პარტია, ვარსებობთ, და არა ისე, როგორც „გოლოს ს.-დ.“ რედაქციასა ჰგონია—ჩვენ მხოლოდ შემდეგში ვიარსებებთო.

პროფესიონალურ კავშირებთან დამოკიდებულებას პლეხანოვი ასე განმარტავს: მუშათა პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობა არ უნდა დაირღვეს. მაშასადამე, არც ერთი პარტია, და ს.-დემოკ. მათ შორის არ უნდა ითხოვდეს პროფესიონალურ კავშირთა ორგანიზაციულად დაკავშირებას რომელიმე პარტიასთან. მაგრამ სოც. დემ. „იაჩეიკები“ ამ კავშირობაში აუცილებლად ორგანიზაციულად უნდა იყვნენ დაკავშირებულნი პარტიასთან.

## რუსეთი

✦ **სასულიერო სასწავლებელთა პროგრამები.** უწმინდეს სინოდთან არსებულმა სამოსწავლო კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა სასულიერო სასწავლებელთა პროგრამების გადასინჯვის შესახებ, უპირველეს ყოვლისა სურთ მეტი მოთხოვნილებანი წარუდგინონ იმ პირთ, რომელნიც სასულიერო სასწავლებლებში შედიან. ამას გარდა აზრათა აქვთ თვით სასწავლებელთა პროგრამის გაფართოვება, მათემატიკიდან უნდა შემოიღონ ალგებრის პირველი ნაწილი; სავალდებულოთ უნდა გახდეს ერთი რომელი ევროპიული ენა სემინარიის კურსიდან უნდა გადატანილ იქნას სასულიერო სასწავლებლებში მწერლობის თეორია. გზა და გზა განხილული იქნება სასულიერო სასწავლებელთა სხვა მხარეებიც: ადმინისტრატიული, სამეურნეო და სხვ.

✦ **გაფიცვა ხარკოვის ციხეში.** როგორც გაზეთ „რეჩ“-ს ატყობინებენ, ხარკოვის ციხეში ტუსაღებს საჭმელის აღკვეთით გაფიცვა მოუხდენიათ. მიზეზი: წაურთმევიათ წიგნები, მაუდები, საწერკალმები, რომლებითაც ტუსაღები 1906 წლიდან სარგებლობდნენ.

✦ **პოლონელ ჟურნალისტის გარდაცვალება.** ციხეში გარდაიცვალა პოლონელი მწერალი ვლადი სლავ ოკრენტი, რომელსაც პოლონურ ლიტერატურას წინაშე დიდი ღვაწლი მიუძღვის. ოკრენტი ციხეში ლიტერატურულ საქმის გამო იჯდა.

## წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით მივმართო ქართულ პრესას მცეს პატივი და მომანდოს ჰაეროპლანით მიუძღვნა სალამი ინგლისის უნივერსიტეტს, ოკსფერში ქართული კათედრის გახსნის დღეს. დავშთები და სხვ.

**იოსებ პეტრეს ძე დავრიშაშვილი.**

15 აგვისტო 1910 წ. პარიზი,

## სპორტი

**ფრანგული ჭიდაობა.** 10 აგვისტოს ქართულ თეატრში იჭიდავა ხუთმა წყვილმა მოჭიდავემ.

პირველად იჭიდავეს მახოვმა და რეიბერმა. წააქცია უკანასკნელმა. მეორედ გამოვიდნენ წითელი ნიღაბი და ვან-როტენი, მაგრამ, რადგან უკანასკნელმა ჭიდაობის დროს ფეხი მსუბუქად იტკინა, ამ ორის საინტერესო მოწინააღმდეგეთა ჭიდაობა ბოლოსთვის გადაიდო. შემდეგ იჭიდავეს ყოფილმა შავმა ნიღაბმა და აპოლონმა. თუმცა უკანასკნელის იმედი არავის ჰქონდა, მაგრამ ოცი წამის განმავლობაში გაუძლო შავი ნიღაბის მოხერხებულს ფანდებს. ჭიდაობა უშედეგოდ გათავდა. ამნაირადვე გათავდა მატიუშენკოსი და ლიტვინოვის ჭიდაობა, თუმცა მეტი უნარი უფრო პირველმა გამოიჩინა.

საინტერესო იყო პეტერსონის და მიხელ მაიერის ჭიდაობა. პირველი მძიმე და დარბაისელი მოჭიდავეა, ხოლო მეორე—აგრეთვე მძიმე, მაგრამ უზრდელი და დაურიდებელი: ხშირად მიმართავს ხოლმე აკრძალულ ხერხს, მაგრამ ამას იმდენი აღარ დასცალდა, რადგან პერსონმა ხელის მოკიდების უმალ იგი მიწაზე დასდო.

ბოლოს დაპირებისამებრ კვლავ იჭიდავეს წითელმა ნიღაბმა და ვან-როტენმა. უკანასკნელმა ვერ გაუძლო მძლავრ და გამოცდილ მოწინააღმდეგეს და 14 წამის ჭიდაობის შემდეგ ძლეულ იქმნა. ჭიდაობა ადრე გათავდა.

**არა მოჭიდავე.**


## განცხადებანი

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., პებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—159

**დოქტ. ნავასარდიანისა**

უოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**


## მატარებლების მიმოსვლა

**18 აპრილიდან 1910 წ.**

საათები ნაჩვენები ტფილისის მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | | |
|---|---|---|
| **ბათუმისკენ:** | N 1, სწრ.—საღ. | 11 ს. 28 წ. |
| | N 3, საფ-ს.—დღ. | 1 ს. 24 წ. |
| | N 5, სამგზ.—საღ. | 7 ს. 31 წ. |
| **ბაქოსკენ:** | N 2, სწრაფ.—დილ. | 8 ს. 15 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 10 ს. 4 წ. |
| | N 12, სამგზ.—დღ. | 2 ს. 38 წ. |
| **ბორჯომისკენ:** | სამგზ.—დილ. | 8 ს. 28 წ. |
| | სამგზავ.—დღ. | 3 ს. 36 წ. |
| **ჯულფისკენ:** | საფოსტო—ღამ. | 12 ს. 22 წ. |
| **ერევნისკენ:** | სამგზავრო—დღ. | 4 ს. 15 წ. |

**ტფილისში მოდის**

| | | |
|---|---|---|
| **ბათუმიდან:** | N 2, სწრ.—დილ. | 7 ს. 25 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 9 ს. 4 წ. |
| | N 6, სამგზ.—დილ. | 11 ს. 4 წ. |
| **ბაქოდან:** | N 1, სწრფ.—საღამ. | 10 ს. 36 წ. |
| | N 3, საფოს.—დღ. | 12 ს. 24 წ. |
| | N 1. სამგზ.—დილ. | 6 ს. 58 წ. |
| **ბორჯომიდან:** | სამგზ.—დილ. | 6 ს. 28 წ. |
| | სამგზ.—საღამ. | 8 ს. 08 წ. |
| **ჯულფიდან:** | საფოსტ.—დილ. | 6 ს. 8 წ. |
| **ერევნიდან:** | სამგზავ.—დღის. | 6 ს. 33 წ. |


◀ სამეურნეო ჟურნალი ▶

**მოსავალი**

**წელიწადი მეორე**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.

**კატალოგი**

**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგადოების წიგნის მაღაზიის. №**

**I**

სასულიერო შინაარსის წიგნები.

1. იოსელიანი გ. საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა, სურათებით, ტფ. 1909 წ. . 40
2. მისივე ლოცვანი ტფ. 1910 წ. . 20
3. ძველი აღთქმა, ხუთი წიგნი მოსესი ტფ. 1900 წ. . . . . . 50
4. ფსალ ნი. ტფ. 1901 წ. . . . 10
5. ახალი აღთქმა. სახარება. საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი. ტფ. 1879 წ. . 40
6. სახარება.

**II**

მოთხრობები, ლექსები, პიესები.

7. აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული. ტფ. 1908 წ. . . . 40
8. ანდრეევი ლ. ადამიანის ცხოვრება. ტფ. 1907 წ. . . . 50
9. ბარათაშვილი ნ. ლექსები, „სორაპნის“ გამოცემა. ტფ. 1910 წ. 10
10. გვარამაძე ივ. თამრო ჰარამხანაშია. გურიის ცხოვრებიდან. ახალციხ. 1906 წ. . . . . . 20
11. გლახაშვილი ს. წყურვილი. დრამა 3 მოქ. 4 სურ. ტფ. 1910 წ. 30
12. გიგაური. ლექსები. ქუთ. 1908 წ. 20
13. გიოტე, ფაუსტი. დრამატ. პოემა. ნათ. პ. მირიანიშვილისა. ტფ. 1909 წ. . . . . 1 მ. 25
14. დუტუ-მეგრელი. წიგნი I ლექსები. ტფ. 1909 წ. . . . 70
15. ერისთავი გ. გაყრა, 4 მოქ. კომედია. გამოც. „სორაპნისა“. . 5
16. ვაჟაფშაველა. ცრემლები. 1909 წ. 50
17. ზღაპრები II, ქალთა წრის გამოცემა. . . . . 1 მ. 30
18. თუთაევი ალ. ქართული პიესები ტფ. 1909 წ. . . . . . 20
19. იერეთელი პ. დამარცხებულნი. დრამა 5 მ. ტფ. 1908 წ. . . 30
20. მისივე ქრისტინე, დრ. 5 მოქ. ტფ. 1909 წ. . . . . . 20
21. Избранныя стихотворенія А. Церетели, съ предисловіемъ А. Хаханова. Моск. 1908 г. . 2
22. მოლიერი. დრამატ. თხზულებანი. გამ. „სორაპნ-სა“. ტფ. 1909 წ. 5
23. ნიშად. კრებული. ტფ. 1909 წ. 15
24. ნავთლუღელი შ. შრომის დროს ამონაკვნესი. ლექსები. ტფ. 1908 წ. . . . . . . . . 3
25. ნინოშვილი ე. პალიასტომის ტბა. ტფ. 1909 წ. . . . . . 5
26. მისივე ჩვენი ქვეყნის რაინდი. ტფ. 1909 წ. . . . . . . 20
27. მისივე გოგია უიშვილი. ტფ. 1909 წ. . . . . . . . . 5

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

**„ნაკადული“**

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 19 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ. **12** წიგნი მოზრდილთათვის

გარდა ამისა **მიეცემა პრემიად** საბავშვო **უნივერსიტეტი** (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი»—ზღაპარი ევალდისა; 2. »მარჯნები»—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი“—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული აპოები კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა სამი მანეთი; საზღვარ-გარეთ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურო ქარვლაში).

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი

**„ერი და კაცობრიობა“**

კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წიგნი შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზ. წიგნის მაღაზიას.

**ადრესი:** Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—36

მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგიურს და სალიტერატურო

ჟ უ რ ნ ა ლ ს

**„განათლება“**-ზე

(წელიწადი მესამე)

ჟურნალი გამოდის წელიწადში ათჯერ. ექვსი ნომერი უკვე გამოვიდა და გაეგზავნა ხელის მომწერლებს. ამ ჟამად იბეჭდება სექტემბრის ნომერი, რომელიც გამოვა 1 ენკენისთვეს. ჟურნალი მოზრდილი ფორმატისაა, თითო ნომერი შეიცავს ბეჭდურს თაბახს. წლიურად ღირს **სამი მანეთი** გაგზავნით, სოფლის მასწავლებელთათვის **ორი მანეთი.** ჟურნალის დაკვეთა შეიძლება—„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“—**ივანე აბალოშვილთან,** „ნაკადულის“ რედაქციაში და კერძო აგენტებთან.

**მისამართი:** Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**